ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 405
(კონსოლიდირებული ტენდერი CON-160000020) 24 ივნისი 2016 წ.

შემსყიდველი – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, წარმოდგენილი სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თენგიზ ნასარიძის სახით.

მისამართი: 0112, ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქ. N20.

ს.კ. 204900483. 29.01.01.

საბანკო რეკვიზიტები: ანგ.N200122900 სახელმწიფო ხაზინა,

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, კოდი TRESGE22

მიმწოდებელი – შპს ,,თეგეტა მოტორსი" წარმოდგენილი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის სახით.

მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N5.

ს.კ. 202177205.

ტელეფონი: +995 32 224 44 44.

ელ. ფოსტა: tender@tegetamotors.ge

საბანკო რეკვიზიტები: ანგარიშის ნომერი: GE80TB0600000024467853, სს ,,თიბისი ბანკი", ბანკის კოდი: TBCBGE22.

ავტომანქანის საბურავების (CPV-34300000 - ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის, CPV-34350000 - დიდი/მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანების საბურავების, CPV-34351000 - მცირე ტვირთამწეობის მანქანების საბურავების, CPV-34351100 - მსუბუქი ავტომანქანების საბურავების) 2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 21 ოქტომბრის N14 ბრძანებით დამტკიცებული საბურავების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების, აგრეთვე „2015-2016 წლების განმავლობაში საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 21 ოქტომბრის №2246 განკარგულების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნითი შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის

მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში

1.6 „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „სატენდერო კომისია“ - „2015-2016 წლების განმავლობაში საბურავების სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 21 ოქტომბრის №2246 განკარგულების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისია.

1.8 „ფორსმაჟორი“ - მხარეებისათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ,,შემსყიდველისა“ და/ან ,,მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა ისეთი მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მცირე ტვირთამწეობის ავტომანქანის საბურავები, რომლებიც აკმაყოფილებს 2016 წელს გამოცხადებული კონსოლიდირებული ტენდერის (CON-160000020) სატენდერო დოკუმენტაციითა და მისი დანართით განსაზღვრულ ტექნიკურ მაჩვენებლებს.

2.2. შესასყიდი საქონლის რაოდენობა არის 30 ცალი (R18 285/60 – 20 ცალი, R19 255/50 – 10 ცალი), წინამდებარე ხელშეკრულებითა და ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული საბურავი.

3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1

ა) ხელშეკრულების ღირებულებაა: 6400.00 (ექვსი ათას ოთხასი) ლარი.

ბ.ა) ერთი ცალი საბურავის (R18 285/60) ღირებულება შეადგენს 205.00 (ორასხუთი) ლარს.

ბ.ბ) ერთი ცალი საბურავის (R19 255/50) ღირებულება შეადგენს 230.00 (ორასოცდაათი) ლარს.

4. საქონლის მიღება - ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

4.1. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებით ნაკისრ მომსახურების პუნქტებზე შესაბამისი მომსახურების გაწევა.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

4.3. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარებისაქტის გაფორმების შემდგომ.

4.4. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში საბურავის მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში. შესასყიდი საქონლის ჯამური ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს (დღგ-ს გათვალისწინებით), ასევე შესყიდვის

ობიექტის მიწოდებასა და თანმდევ მომსახურებასთან (მონტაჟი, დემონტაჟი, ბალანსირება) დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

4.5. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

5. მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) საქონლის მიწოდება განახორციელოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

გ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი საბურავების მიწოდება განხორციელოს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, შემსყიდველის (შემსყიდველის მხრიდან, ხელშეკრულების 5.5.1. ქვეპუნქტით განსაზღვრული პირ(ებ)ის) მიერ შესაბამისი მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

დ) პასუხი აგოს საბურავების ხარისხის შესაბამისობაზე სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებსა და დანართით დადგენილ ტექნიკურ მაჩვენებლებზე.

ე) უზრუნველყოს შეუფერხებელი მონტაჟის პროცესი.

ვ) სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებისას გამოითხოვოს დაზუსტებული ინფორმაცია შემსყიდველი ორგანიზაციის სარგებლობაში არსებული ავტომობილების შესახებ, მისაწოდებელ საბურავის სიჩქარის ინდექსისა და ტვირთდაწოლის კილოგრამების განსაზღვრის მიზნით.

ზ) მჭიდროდ ითანამშრომლოს შემსყიდველ ორგანიზაციებთან საბურავების მიწოდების სავარაუდო ვადების დადგენისა და შესაბამისი განრიგის შემუშავების მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საბურავების დროული და შეუფერხებელი მიწოდება.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება

5.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

ბ) მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით, მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში.

გ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების გაცემის შემთხვევაში.

დ) მომსახურების მიღების მიზნით წარადგინოს ავტომანქანა პრეტენდენტის მიერ მითითებულ მისამართზე, თუ ურთიერთშეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ე) მიმწოდებელს, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების გაფორმებისას, მიაწოდოს დაზუსტებული ინფორმაცია მის სარგებლობაში არსებული ავტომობილების შესახებ, საბურავების სიჩქარის ინდექსისა და ტვირთდაწოლის კილოგრამების განსაზღვრის მიზნით.

ვ) მჭიდროდ ითანამშრომლოს გამარჯვებულ მიმწოდებელთან საბურავების მიწოდების სავარაუდო ვადების დადგენისა და შესაბამისი შემუშავების მიზნით.

5.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს საქონელის მიწოდება კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ბ) განახორციელოს საბურავის ინსპექტირება, რაც შეიძლება გულისხმობდეს საბურავის ვიზუალურ შემოწმებას ან შესაბამის ექსპერტიზას.

გ) სატენდერო კომისიას მიმართოს შესაბამისი დასაბუთებით საბურავების ხარისხის გაუარესების თაობაზე. კომისიას უფლება აქვს, მიმწოდებელს მოსთხოვოს ექსპერტიზის ჩატარება მის მიერ მითითებულ საექსპერტო დაწესებულებაში და შედეგების სატენდერო კომისიისათვის წარდგენა. ასეთ შემთხვევაში ექსპერტიზის ხარჯებს გაიღებს შემსყიდველი ორგანიზაცია.

დ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მისცეს მას მითითება ვალდებულებების დარღვევის გამოსწორების შესახებ ან მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

ე) საქონლის მიწოდების ვადის 10-ზე მეტი სამუშაო დღით გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

5.5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (შემდგომში - კონტროლი) განახორციელებს:

5.5.1. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლის მიერ გამოყოფილი პირ(ებ)ი _ შესრულების ვადების, მიწოდების ადგილის, მიღება-ჩაბარების, რაოდენობის (მოცულობის) და საგარანტიო მომსახურების პირობების კონტროლის საკითხებზე;

5.5.2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხარისხის კონტროლის დეპარტამენტის უფროსის მიერ გამოყოფილი პირ(ებ)ი – ხელშეკრულების პირობებთან ხარისხობრივი შესაბამისობის განსაზღვრის კონტროლის საკითხებზე.

6. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

6.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

6.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირგასამტეხლო ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0,2% ოდენობით. საქონლის მიწოდების ვადის 10-ზე მეტი სამუშაო დღით გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს

სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

6.3 მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში,შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

6.4. სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მითითების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) საბურავის ღირებულების 20%-ის ოდენობით.

6.5 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ფორს-მაჟორი

7.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

7.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოებს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

8.3 მხარეთა შორის დავა წყდება საქართველოს კანონმდებლობით.

9. სხვა პირობები

9.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა

და რისკით.

9.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს შესრულებული ქართულ ენაზე.

9.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

9.5 ხელშეკრულების დანართები (ფასების ცხრილი, ინფორმაცია მომსახურების გაწევის პუნქტების შესახებ) წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შემსყიდველის მხრიდან:	მიმწოდებლის მხრიდან:
თ. ნასარიძე	თ. კოხოძე
საქართველოს თავდაცვის სამინისტროს	შპს „თეგეტა მოტორსი“-ს
სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის	გენერალური დირექტორი
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	

დანართი №1

2016 წლის 24 ივნისის N 405 ხელშეკრულებასთან

ფასების ცხრილი

სეზონი	საბურავის ბრენდი	საბურავის მოდელი	ბრენდის წარმოშობის ქვეყანა	საბურავის ზომა	ერთეულის ფასი	რაოდენობა	ჯამური ღირებულება	დამზადების წელი	ავტომანქანების ჩამონათვალი, რომლებზეც უნდ განხორციელდეს მისაწოდებელი საბურავების მონტაჟი
ყველა სეზონი	Westlake	SU318	ჩინეთი	R18 285/60	205.00	20	4100.00	არაუადრეს 2014 წლისა.	Toyota landcruiser
ყველა სეზონი	Westlake	SU318	ჩინეთი	R19 255/50	230.00	10	2300.00	არაუადრეს 2014 წლისა.	Mercedes benc m class

საბურავის ფასი მოიცავს შეცვლის და ბალანსირების ღირებულებას.

პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული საბურავები უნდა შეესაბამებოდეს დანართი №1-ში წარმოდგენილი ავტომობილების ტექნიკურ მოთხოვნებს სიჩქარის ინდექსისა და ტვირთდაწოლის კილოგრამების გათვალისწინებით.

მისაწოდებელი საქონელი უნდა იყოს ახალი, ქარხნული წარმოების და საგარანტიო ვადის ამოწურვამდე არ უნდა განიცადოს დეფორმაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში საბურავი უნდა შეიცვალოს იდენტური პარამეტრების მქონე ახალი საბურავით.

შემოთავაზებულ საბურავებზე მითითებული უნდა იყოს სეზონის შესაბამისი მარკირება.

საბურავების საექსპლუატაციო ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50000 კილომეტრის გარბენის რესურსს.

შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს საბურავის ინსპექტირება, რაც შეიძლება გულისხმობდეს საბურავის ვიზუალურ შემოწმებას ან შესაბამის ექსპერტიზას.

იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია სატენდერო კომისიას დაუსაბუთებს მის ეჭვს მიწოდებული საბურავის ტექნიკურ მოთხოვნებთან შეუსაბამობის თობაზე, კომისიას უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე.

პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული საბურავზე საგარანტიო პირობები ვრცელდება: საბურავის სწორი ექსპლუატაციის შემთხვევაში მინიმუმ 50 000 კილომეტრ გარბენზე. საბურავმა არ უნდა მიიღოს დეფორმაცია, ნორმების დაცვით ექსპლუატაციისას საბურავის სამუხრუჭე მანძილი არ უნდა იწვევდეს საფრთხის შექმნას მგზავრებისათვის და საბურავმა არ უნდა გამოავლინოს ისეთი დეფექტები, რომელიც ხელს შეუშლის ტრანსპორტის ნორმალურ ექსპლუატაციას ან საფრთხეს შეუქმნის მგზავრების უსაფრთხოებას.

მიმწოდებელმა დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის, წუნის ან სხვა დეფექტის მქონე საბურავის შეცვლა ახალი იდენტური პარამეტრების მქონე საბურავით საკუთარი სახსრებით.

გარანტია არ ვრცელდება ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზებით დაზიანებულ საბურავებზე:

ა) მექანიკური დაზიანება;

ბ) გარეგანი ზემოქმედებით (გადახურება/"დაბუქსავება");

გ) ტვირთამწეობის გადაჭარბება;

დ) ბორდიურზე მიჯახება;

ე) ჩარტყმა.

შემსყიდველის მხრიდან:

თ. ნასარიძე

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს

სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის

უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

მიმწოდებლის მხრიდან:

თ. კოხოძე

შპს „თეგეტა მოტორსი"-ს

გენერალური დირექტორი

ინფორმაცია შემოთავაზებული საბურავების შესახებ

ვადასტურებთ, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული საბურავების ბრენდი არანაკლებ 2 (ორი) წელია, რაც წარმოდგენილია მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ბაზარზე.

ინფორმაცია მომსახურების გაწევის პუნქტების შესახებ

თბილისი

ცენტრალური ფილიალი - ქ. თბილისი დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კმ #5
პეპელას ფილიალი - ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი 15

რეგიონები:

ქუთაისის ფილიალი - ნიკეას მე–9 ჩიხი #2ა
ფოთის ფილიალი - ლარნაკას #2
ბათუმის ფილიალი - სოფ. ადლია (აეროპორტის გზატკეცილი 174–ის მოპირდაპირედ)
თელავის ფილიალი - ქ.თელავი, აღმაშენებლის 62ა
ახალციხის ფილიალი - ქ.ახალციხე. თამარაშვილის ქ. 67
გორის ფილიალი - ქ. გორი, შინდისის გზატკეცილი #2

შპს „თეგეტა მოტორსი“
გენერალური დირექტორი

თემურ კოხოძე